ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 26 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. გოჩა სიჭინავა
2. იგორ გოგოლაძე
3. მალხაზ ლაგვილავა
4. კახა ლატარია
5. ფრიდონ შონია
6. ბეჟან ქირია
7. ალექსანდრე ნაჭყებია
8. გენადი ზარანდია
9. გენადი ქაძანაია
10. მერაბ ნადარაია
11. თენგიზ აბაკელია
12. ედიშერ წურწუმია
13. მალხაზ ყურუა

სხდომას თავმჯდომარეობდა გ. სიჭინავა - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 11 აგვისტოს N06/1378 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული პროფესიული სწავლების ცენტრის ტერიტორიაზე N6 სასწავლო კორპუსის შენობაზე მიშენებული ორი შენობის დემონტაჟის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -13, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 11 აგვისტოს N06/1378 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული პროფესიული სწავლების ცენტრის ტერიტორიაზე N6 სასწავლო კორპუსის შენობაზე მიშენებული ორი შენობის დემონტაჟის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტს თან ერთვის განმარტებითი ბარათი, სადაც განმარტებულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე N6 სასწავლო კორპუსზე მიშენებული ორი ნაგებობა თითოეული ფართით 253-253 კვ.მ, არის სრულად ამორტიზებული და ექსპლუატაციისთვის უვარგისი, არ გააჩნია კარ-ფანჯრები და შენობა არ ექვემდებარება რემონტს. აუდიტის მიერ შესწავლილ იქნა მისი ფაქტიური მდგომარეობა, გაანგარიშებულ იქნა სავარაუდოდ ვარგისი მეორადი მასალის ოდენობა და საერთო ღირებულება, აუდიტის დასკვნის საფუძველზე მეორადი სამშენებლო მასალების ღირებულება შეადგენს 2840 ლარს, ხოლო მის დასაშლელად საჭირო ხარჯი გათვლილია 2800 ლარის ოდენობით, ე.ი სხვაობა შეადგენს 40 ლარს. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გაწმენდა ნარჩენებისაგან განხორციელდეს აუქციონის წესით.

მომხსენებელმა სთხოვა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -13, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა